F2732 ~ 13786

წელიწადი პირველი

ფასი 2 კაპ.

რედაქციის ადრესი: გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

# ახალი დროება

თფილისი, ოთხშაბათი 8 მარტი (21) 1906 წ.

ლეიტენანტი შმიდტი დახვრიტეს.

№ 4 ყოველ დღიური გაზეთი. № 4



## ახალი დროება

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წლიურად 5 მან., 6 თვით 3 მან., ცალკე № 2 კაპ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება:

**თფილისში:** რედაქციის კანტორაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

**ქუთაისში:** „კოლხიდა“-ს ამხანაგობაში, ტრიფონ დამბაშიძესთან

**ბათუმში:** „გურია“-ს ამხანაგობაში.

**ბაქოში:** ბ-ნ პლატონ დ. გელოვანთან, ნიკნე-პრიუტის ქუჩა, №39.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდე.

## გაზეთი ივერია 1906 წელს

გამოვა ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით—2 მან.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწერთ დაურიგდებათ წიგნებად დაკლებული პრემიები №№ 8—11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ ერთი წიგნის მაგიერ გაეგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

პირველი ნომერი კვირეულ „ივერიისა“ გამოვიდა 5 მარტს.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრეილინის ქუჩა, № 5.

რედაქტორი ი. ცოციაშვილი. გამომ. თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საშირდ. ავადმ.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახევ.—10 საათ. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყ.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობ.

**მ. ზ. ავეტისიანი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

**ქ. ი. მძელიშვილი:** 11—ს. ყურისა. ცხვირისა. და ყელის ავადმყოფობანი.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1 ნახ.—2 ს. საშვებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფ.

**ვ. ი. გურგენოვი:** 1—2 ს. ქალისა და საშვებიო ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:**

**ა. მ. პუგინოვი:** 5—6 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

**ნ. მ. აბიანცი:** 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 7—7 ნახ. ს.

რჩევა დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

### ექიმი ყ. მ. ჩიქოვანი

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.



## სომეხ-თათართა ურთიერთობა.

—

კავკასიაში თვითეული ერის ცხოვრება ისე მჭიდროდ არის შეკავშირებული და გადახლართული სხვა ერების ცხოვრებასთან, რომ სომეხ-თათართა ურთიერთობა ყველა დანარჩენ ერებს შეგვეხება, მათი საქმე ჩვენს საკუთარ საქმედ მიგვაჩნია.

რა არის მთავარი მიზეზი სომეხ-თათართა ერთმანეთის უაზრო ჟლეტისა? ამისი მიზეზი ჩვენზე უკეთ იციან სომხებმაც და თათრებმაც. ვიტყვი მხოლოდ, რომ შეიძლება სხვა-და-სხვა ერებმა ერთმანეთთან მშვიდობიანად, მეგობრულად იცხოვრონ. დავისახოთ მაგალითად შვეიცარია, კანადა.

რატომ მივსევივართ კავკასიელნი ერთმანეთს? ნუ თუ თვითეულ ერს არ შეუძლია ალაგმოს თავისი ბოროტი შვილები?!. საჭიროა ხალხმა თვით გამოუცხადოს ბოიკოტი ბოროტ-მოქმედს, რადგან ერთის დანაშაულს აუარებელი მსხვერპლი ზედ-ემატება ხოლმე. თუ მოვინდომებთ ჩვენვე ადვილად ავიშორებთ თავიდან მოსალოდნელ განსაცდელს. ამისთვის მთავრობის რჩევა არ არის საჭირო. ხიშტით და ტყვიით მეგობრული განწყობილება არ ჩამოვარდება.

საჭიროა, აუცილებლად საჭიროა წელიწადში ერთხელ შევიკრიბოთ კავკასიის ერების წარმომადგენლნი და მოვილაპარაკოთ ხოლმე საერთო საქმეებზე. ამგვარ კრებებს მართავენ ხოლმე ყოველ წელს ინდოეთლები. მთავრობამ არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს კრებებზე. ამგვარ კრებებს შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ კავკასიას.

კერძოდ სომეხ-თათართა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების შესახებ ვიტყვით, რომ შეუძლებელია ორი მეზობელი ერის ერთმანეთთან განუწყვეტელი, დაუცხრომელი ბრძოლა. ეს, ცხადია, თვით სომხებსა და თათრებს ჩვენზე უკეთ ესმოდინებათ. რა მოუტანა ამ უაზრო ჟლეტამ ან სომხებს ან თათრებს? ნუ თუ აღარ მოსწყინდათ ერთმანეთის აკლება და ხოცვა?! ნუ თუ ასე დაბრმავდა ორივე მხარე?! ნუ თუ შეუძლებელია დაიმორჩილოს კაცმა გულის-თქმა და არ მიჰყვეს გონების რჩევას?!

უკანასკნელმა სომეხ-თათართა კრებამ არა სასურველად ჩაიარა. ორატორების სიტყვებში გულწრფელობა არა სჩანდა, ორივე მხარე ერთმანეთს საცინლად იგდებდა. წარმომადგენლებმა ვერ გაამართლეს ხალხის იმედი და ნდობა, ვერ გაუწიეს სამსახური შერიგების საქმეს ამ მხრივ.

მეტი დანაშაული მიუძღვისთ სომხის წარმომადგენლებს. ერთმა რამემ გამაკვირა. სომხებმა მოითხოვეს, თათრებმა თავი დაანებონ ყიალს, ბინადარ ხალხად გადიქცნენ და ასეთი ევოლიუციის, უკეთ ვთქვათ, რევოლიუციის მოხდენა უნდოდათ მიენდოთ ადმინისტრაციისათვის. სომხებმა კარგად იციან, რომ ამ მოთხოვნილების ასრულებას თათრები ვერ შესძლებენ. მაშ რატომ მოითხოვეს შეუძლებელი?! ნუ თუ განგებ უნდათ გამოიწვიონ საშინელი სისხლის-ღვრა? მართალია, შეიძლებოდა მოეთხოვათ, რომ მწყემსთათვის განესაზღვრათ გზები, თუ ორივე მხრიდან გულ-წრფელობა იქნება ამ საქმეს ადვილად მოაგვარებდენ ნეიტრალური ერების წარმომადგენლების დახმარებით, მაგრამ, სამწუხაროდ, კრებებზე წარმომადგენელნი ზომიერებას არ იჩენდენ.

აქ არ შემიძლია გვერდი ავუარო ერთს სამწუხარო მოვლენას. სომხის ერთმა წარმომადგენელმა ბ. ხატისოვმა მთელი ქართველი ერი დააბეზღა მთავრობასთან და თავის ამხანაგებისგან ტაშის-კვრით იქმნა დაჯილდოებული. საწუხარო ის არის, რომ სომხურმა გაზეთებმაც კი ქება-დიდება შეასხეს ბ. ხატისოვს. მთელი სიტყვა ხსენებულ ორატორისა (?) იყო საზიზღარი დაბეზღება. ამ ჟამად მისი შესანიშნავი (?) სიტყვა არ გვაინტერესებს. შევეხებით მხოლოდ ერთ საკითხს, რომელიც კაი ხანია თავისებურად გადასწყვიტა სომხის ბურჟუაზიამ და კვლავ ხელი წამოჰკრა ბ. ხატისოვმა. ჩვენ უარ-ვყოფთ ავტონომიასო, ხმა მაღლა ღაღად-ჰყო თავმომწონე ორატორმა, და ამ სამარცხვინო უარ-ყოფისათვის ტაშის-კვრით იქმნა დაჯილდოებული. ავტონომიის უარ-ყოფა მონობის აღსარებაა. რომელიმე ერი რომ კიდევაც გულში ეტრფოდეს მონობას სირცხვილით მაინც არ უნდა ამხელდეს ამ სამარცხვინო გულის-წადილს. დედამიწის ზურგზე—ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს გარდა—არც ერთი ერის განვითარებული წარმომადგენელი არ იტყვის, უარ-ვყოფ ავტონომიასო. ერი, რომელიც ავტონომიას, თავისუფლებას არ აღიარებს, დაღუპულია.

შეიძლება სომხებს ის აშინებდეთ, რომ მიწა, ტერიტორია, არა აქვთ? ეს შიში, ჩვენი ფიქრით, უსაფუძვლოა. იქ, სადაც სომეხი და თათარი ერთმანეთში არეულნი არიან, შეიძლება სომხებს თავისი საკუთარი, სომხური საქმეებისათვის თავისი პარლამენტი ქონდესთ, თათრებს კი თავისი. საერთო საქმეებისათვის საერთო პარლამენტი ექნებათ, სომეხთა შორის ურთიერთობის საქმეს განიხილავს და გარდასწყვეტს სომხური პარლამენტი. საერთო პარლამენტი შეეხება მხოლოდ საერთო საქმეებს. საერთო პარლამენტში თანასწორი რიცხვი იქნება სომეხთა და თათართა დეპუტატებისა. ამგვარად შეიძლება მოეწყოს ავტონომიის საქმე ბაქოს, განჯის, ერევნის გუბერნიებში და ყარსის ოლქში. აქ შეუძლებელი არა არის-რა. შესაძლებელია დაცულ იქმნას ეროვნული თანასწორობა და მეგობრობა. მხოლოდ ამ პირობებში იქნება შესაძლებელი, როგორც თათრების, აგრეთვე სომხების წინ-სვლა პროგრესის გზაზე. დიაღ, როგორც მცენარე ვერ გაიხარებს უსინათლოდ, ადამიანი ვერ იცოცხლებს უჰაეროდ, აგრეთვე ერი ვერ გაიზრდება, ვერ განვითარდება, თუ ავტონომია, თა-

ვისუფალი თვით-მმართველობა არ ექმნა. სომხის ბურჟუაზიას, ცნობიერებამოკლებულს, სურს დაღუპოს თავისი ერი და უკუღმა დაატრიალოს ჩარხი კავკასიის ისტორიისა. ეს ძლიერ˜ სახიფათო გზაა. ამით იგი ვერას მოიგებს. ამ ბურჟუაზიამ უკვე გადაიმტერა კავკასიის ყველა ერები. სამწუხარო და სავალალო მხოლოდ ის არის, რომ თავის კერძო ინტერესების პოლიტიკაში მან ჩაითრია უდანაშაულო, მაგრამ შეუგნებელი სომხის ხალხიც.

---

## ევგენი რიხტერი.
(1838—1906).

25 თებერვალს გერმანიაში გადაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, და უხუცესი წევრი გერმანიის რეიხტაგისა ევგენი რიხტერი. იგი დაიბადა 1838 წ. შეისწავლა სჯულდება და შევიდა სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ თავისუფალ მოაზრეობისთვის მთავრობამ დევნა დაუწყო, რის გამო 1864 წ. რიხტერმა სამსახურს თავი მიანება და დაიწყო მოღვაწეობა პოლიტიკურ ასპარეზზე. 1867 წ. რიხტერი ამორჩეულ იქმნა დამფუძნებელ რეისხტაგის დეპუტატად, ხოლო 1871 წ. რიხტერს უკვე გერმანიის რეიხსტაგში ვხედავთ დეპუტატად. რიხტერი ემხრობოდა პროგრესიულ პარტიას, რომელიც 1884 წ. შეუერთდა რიკკერტის ჯგუფს და დაერქვა პარტია თავისუფალ მოაზრეთა. როგორც დეპუტატი, რიხტერი იბრძოდა ერთის მხრით ბისმარკის „რკინის კანონის“ და პროტექციონიზმის წინააღმდეგ და მეორე მხრით წინააღმდეგ სახელმწიფო სოციალიზმისა. ბიუჯეტის განხილვის დროს რეიხსტაგში არც ერთი დეპუტატის კრიტიკა არ ყოფილა მთავრობისთვის ისე სასტიკი და ულმობელი, როგორც რიხტერისა. ის თუმცა წინააღმდეგი იყო სოციალიზმისა და სოციალისტებისა მარა ყოველთვის მკაცრად კიცხავდ-სოციალისტების წინააღმდეგ მიმართულს 1878 წლის კანონს.

რიხტერის საოცარი იუმორი, ხშირად მწვავე სარკაზმით ქცეული, თვით მის მოწინააღმდეგეებშიაც კი შურს ძრავდა. მაგალითად, ერთხელ რეიხსტაგში, როდესაც ოპოზიციაში მდგომი რიხტერი გამოვიდა, ბისმარკი მაშინვე წამოდგა და დემონსტრატიულად მიატოვა კრება. „კანცლერს არა სურს ჩემი სიტყვის მოსმენა, მაგრამ სულ ერთია: ხვალ დაბეჭდილს წაიკითხავსო“, სარკასტიულად შენიშნა რიხტერმა, რამაც ხმა მაღალი სიცილი გამოიწვია.

რიხტერი ცნობილია, როგორც წმინდა წყლის რადიკალი, თავისუფალი მოაზრე და ორივე ფრონტზე მებრძოლი.

რიხტერის უსასტიკესი მოწინააღმდეგენიც კი ერთხმად აღიარებენ მის დიდ ღვაწლს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მის დიდს ცოდნას. ნიჭს და მოუსყიდველ პატიოსნებას. ვისაც გერმანიის რეიხსტაგში უნახავს რიხტერი, ის ვერასოდეს დაივიწყებს მის მახვილ გონებიან და მკვეთრ სიტყვებს.

---

## ახალი ამბავი

გამოიცა უმაღლესი ბრძანება სენატის მიმართ 4 მარტის თარიღით. სენატს ევალება დააარსოს სამაზრო და საგუბერნიო კამისიები საგლეხო ბანკის დასახმარებლათ, რათა მით გაუადვილდეს გლეხებს მიწების შეძენაო.

✦ **საჯარო გაჭრობა.** დღეს, სათავადაზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თფილისის მამულებისა. გასაყიდია 370 მამული, გადასახადთა შეუტანლობის გამო.

✦ **ქუთაისის გუბერნატორად** ნამყოფ ვ. სტაროსელსკის განუზრახავს შეადგინოს მიმოხილვა და აღწეროს თავისი გუბერნატორობის ამბები

✦ **მასწავლებლის გალახვა.** „სოვრემენნიკის“ სიტყვით ამ დღეებში ქუჩაში ვიღაცებს უცემიათ სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი მელიქ-ალავერდოვი. მელიქ ალავერდოვის აზრით მისი მცემლები ამავე სასწავლებლის მოწაფენი უნდა იყვნენ.

✦ **თედო სახოკიას დატუსაღება.** „სოვრემენნიკს“ გაუგია, რომ სოხუმში დაუპატიმრებიათ ქართველი ლიტერატორი თედო სახოკია.

✦ **ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობის სახლი.** ამ ჟამად დამთავრებულია ზუბალაშვილის სახელობის სახლი და მოკლე ხანში შენობას აკურთხებენ.

✦ **წინადადება სახლის პატრონთ.** ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სახლის პატრონთ, რომ ქუჩის ნაპირზე თავიანთ ხარჯით ქვაფენილი დააგონ, თუ ქუჩა მოკირწყლულია.

✦ **ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.** 6 მარტს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებამ, სხვათა შორის, ქალაქის მოურავის თავ. ჩერქეზიშვილისა და ხმ. არღუთინსკის მოხსენება მოისმინა, რომელიც შეეხება მეტეხის ციხის სადგომის მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობას, ცუდს საჭმელს, ლოგინს და ყველა იმ უბედურებას, რომელშიაც ჩაცვივნულნი არიან პატიმარნი. საბჭომ დადგინა, 2.000 მანეთი მისცეს ქალაქის გამგეობას პატიმართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ამასთან მთავრობას სთხოვოს, ამ საქმისათვის ფული გაიღოს ხაზინიდან.

✦ **გენერალ-ლეიტენანტი შირინკინი ბაქოშია,** როგორც გვატყობინებენ კავკასიის საპოლიციო ნაწილის უფროსი გენ.-ლეიტ. შირინკინი ბაქოში ჩასულა და პოლიტიკურ პატიმართა საქმეთა გამოძიებას შესდგომია. ზოგი დაპატიმრებულთაგანი უკვე გაუნთავისუფლებია, ხოლო დანარჩენთა შესახებ განკარგულება მოუხდენია, რომ მათი საქმე საჩქაროდ დაწვრილებით იქმნეს გამოძიებული. ციხეში თურმე თვეზე მეტია სხედან ზოგიერთი პატიმარნი და დღემდე არ იციან, რა პოლიტიკური დანაშაულობა ედებათ ბრალად.

**„მიტინგი“ მთაწმიდის გორაზე.** 6 მარტს დილით მამადავითის მთაზე სამი მხრით კაზაკები გაგზავნეს, რადგან ქალაქში ხმა გავრცელდა, გორაზე მიტინგი არისო, მაგრამ ხმა ტყუილი გამოდგა და კაზაკები ხელცარიელი უკან დაბრუნდენ.

✦ **მეურნეთა კავშირი.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ ჩრდილოეთის სამეურნეო საზოგადოების გამგეობიდან ქაღალდი მიიღო. გამგეობა სამეურნეო საზოგადოებას აცნობებს, რომ საჭიროა ამ აგრარულ მოძრაობის დროს მეურნენი შეკავშირდენ და სხვა-და სხვა სამეურნეო კითხვებზე მსჯელობა იქონიონ და წინადადებას აძლევს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ჩრდილოეთის საზოგადოებიში მუდმივად თავისი წარმომადგენელი იყოლიოს. ჩრდილოეთ საზოგადოების გამგეობა ამასთანავე აცნობებს, რომ 21 მარტს პეტერბურგში სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლებისა და კერძო მეაურნეთ საერთო კრება იქმნებაო.

✦ **საპატიო სამადლობელი დეპეშები ხმ. ხატისოვს.** ხმოსანს ხატისოვს თურმე აუარებელი სამადლობელი დეპეშები მისდის სომხებისაგან იმ სიტყვისათვის, რომელიც ნამესტნიკის სასახლეში სომეხ-თათართა კრებაზე წარმოსთქვა.

✦ **არჩევნების შესახებ.** გუშინ ტფილისის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა სია იმ პირთა, რომელთაც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ.

✦ **ქუთაისის სამეურნეო სკოლა.** როგორც მთავრობის მიერ დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, ქუთაისის საიმეურნეო სკოლას 10.000 მანეთი ვალი ჰქონია. ხარჯი მოსვლია მაშინ, როდესაც სკოლის გამგედ ყოფილა ლიუბენეცკი, რომელსაც ფული უკანტროლოდ დაუხარჯია.

---

## ლექციები.

5 მარტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების პარტიის წევრებმა ბ.ბ. სემიონოვმა და ქალანთარმა ლექციები წაიკითხეს, პირველმა ამ სათაურით: „მიიღოს თუ არა მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროში კავკასიამ“, მეორე „აგრარული პრობლემები“.

სახელმწიფო სათათბირო—სთქვა ლექტორმა სემიონოვმა—ხალხმა ხანგრძლივ ბრძოლით მოიპოვა და მას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის. დღეს მთავრობა ცდილობს ეგ მნიშვნელოვანი და ხალხისთვის ხელსაყრელი დაწესებულება თავისს სასარგებლოდ მოაწყოს. ჩვენი ვალდებულებაა მთავრობას ასეთ განზრახვას ხელი შევუშალოთ, ნება არ მივცეთ ეს დაწესებულება ხალხში კვლავ ნდობის მოსაპოებლად გამოიყენოს.

სათათბირო ხალხისთვის სასარგებლო იქნება თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, მისცემს თუ არა მთავრობა ხალხს კრებების გამართვის უფლებას და საარჩევნო აგიტაციას ხელს არ შეუშლის. ამასთანავე ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ პოზიციას აირჩევენ რუსეთის პოლიტიკური პარტიები—მემარჯვენენი და მემარცხენენი.

პირველი კითხვა გადაწყდა. ცხადია, რომ მთავრობა ხელს უშლის საარჩევნო აგიტაციას და კრებებს. ამ აზრით მან გააძლიერა სამხედრო წესები, ხალხი ციხეებში ჩაჭყარა, სარჩობელები ამართა და ყველას აშკარად დაანახვა, რომ მას არა სურს ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი სახელმწიფო სათათბიროში მოხვდენ.

მემარჯვენე პარტიათა პოზიცია საკმარისად გამორკვეულია. ეს არის ის ბნელი მასა, რომელსაც თვითმპყრობელობის კვალად აღდგენა სურს და გადაწყვიტა კიდეც, სათათბიროს კარგად დაუბღაუჭოს და ისეთ დაწესებულებად გადააქციოს, სადაც ხალხის დაჩაგვრა დაკანონდება.

აქედან ცხადად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ უკიდურესმა პარტიებმა მხნედ უნდა იმოქმედონ, შევიდნენ სახელმწიფო სათათბიროში და ხალხის წინააღმდეგ მემარჯვენეთა და მთავრობის შეთქმულებას ხელი შეუშალონ. სათათბიროსთვის ბოიკოტის გამოცხადება—უკიდურესი შეცდომა, თავის მოკვლა იქნება, რითაც შეძლებას მივცემთ მთავრობას ჩვენის შევიწროვებისას.

სათათბიროსაგან ბევრს არაფერს გამოველით, მაგრამ რაც იქნება, ისიც თვალსაჩინო სარგებლობას მოგვიტანს? იქ შეგვიძლიან ნამდვილი, უტყუარი ცნობები გამოვაქვეყნოთ ბიუროკრატიის მოქმედების შესახებ და საზარელი ამბები მთელს ევროპას მოვფინოთ. იქ შეგვიძლია მოვითხოვოთ მინისტრთა გადაყენება და მათს ადგილზე ახლების დანიშვნა, მთელს რუსეთში საომარ დროის და გაძლიერებულ დაცვის წესების გაუქმება.

ასე გადასწყვიტა რუსეთის კონ.-დემოკრატიამ. ამას ჩვენ დავუმატებთ მოთხოვნილებას კავკასიაში ავტონომიის შემოღების შესახებ.

თვით რუსეთის კონ.-დემოკრატების პარტიამ საჭიროდ იცნო განაპირა ქვეყნებში ავტონომიის შემოღება. ხოლო კავკასიაში ავტონომის შემოღების შესახებ მასალებს ახლა აგროვებს.

სემიონოვის ლექციას მცირე კამათი მოჰყვა.

ბ. ქალანთარის ლექცია „აგრარული პრობლემები“ უბრალო საუბარი იყო მეურნეობის განვითარებასა, კაპიტალის კონცენტრაციის, სათემო მიწათ მფლობელობას და მიწის სოციალიზაციის შესახებ.

ლექციები შუადღის 12 საათზე დაიწყო და ნაშუადღევის 3 საათზე დასრულდა.

---

## ნარკვევი

5 მარტს შესრულდა ერთი წელიწადი მას აქეთ, რაც ქ. დორპატში უდროოდ გარდაიცვალა იშვიათი ნიჭის პატრონი დორპატის უნივერ-

სიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე კურს დამთავრებული გრიგოლ ნახუცრიშვილი. „ცნობ. ფურც“. კვირის ნომერში მისი მეგობარი მოუთხრობს მკითხველებს განსვენებულის გრიგოლის ტანჯულ ცხოვრებას. მისი ბედი და ცხოვრება უკეთესი საზომია ჩვენი კულტურულ განვითარებისა, ანუ უკედ ვსთქვათ, ჩვენი უმეცრებისა და გულქვაობისა.

სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ გრიგოლმა რის ვაი ვაგლახით შეაგროვა ამხანაგების დახმარებით, წარმოდგენების გამართვით და გაკვეთილებით რამოდენიმე გროში და ამ მცირე საგზლით აღფრთოვანებული გაეშურა ჩრდილოეთისაკენ ცივს და სუსხიან დორპატში. იქ ერთი წელი დაჰყო გამუდმებულ მეცადინეობაში და თან მედგა ბრძოლაში სიცივესა და სიმშილთან.

1901 წ მაისში დაიჭირა ეგზამენი მეორე კურსზე და საზაფხულოდ დაბრუნდა სამშობლოში. ასე გათავდა ეს ერთი წელიწადი. ეხლა საქმე ის იყო, თუ როგორ ან რითი განეგრძო სწავლა მეორე წელს. ზაფხულში განსვენებულმა მიმართა ცნობილს ზ. დ. სარაჯიშვილს სტიპენდიის დასანიშნავათ. სარაჯიშვილმა გაგზავნა ცხვედაძესთან რომელმაც უარი უთხრა. მეორე წელიწადი განსვენებულმა ნახევრად მშიერმა გაატარა, მაგრამ მესამე კურსზე მაინც გადავიდა. შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა საბუნების მეტყველო საგნებში, განსაკუთრებით ფიზიკასა და ქიმიაში. 1902 წ. ზაფხულში განსვენებულმა მითხრა: კი არ გაგეცინოს და ერთი რამ მინდა აღმოვაჩინო: მინდა ისეთი—მანქანა ან აპარატი გავაკეთო, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდეს უმავთულოდ დეპეშების გადაცემა... მე მოვაგონე იტალიელ მეცნიერის მარკონის გამოგონება. „არა, სთქვა მან, მარკონის აპარატი სულ სხვა სისტემისაა, კარგათა მაქვს შესწავლილი, ის შორს მანძილზე დეპეშების გადასაცემად არ ვარგა, ჩემი კი ისეთი უნდა იყოს, რომ რა მანძილზედაც გინდა, გადასცემ დეპეშას. ეს მოეწყობა საწერ მანქანის შემწეობით და ისეთი სადა უნდა იყოს, რომ ერთ კაცს შეეძლოს ხუთი-ექვსი და თუ გინდა ათი კაცის მაგივრად იმუშაოსო“.

მუშაობას უკვე შესდგომოდა, მაგრამ თავის სატეხი საკითხი კიდევ წინ ედგა განსვენებულს—რითი უნდა განეგრძო კვლავ სწავლა! იმ ზაფხულს კიდევ მიმართა ბ-ნ სარაჯიშვილს, სარაჯიშვილმა კვლავ მცხეთაძესთან გაგზავნა. ბოლოს, როგორც იყო, სარაჯიშვილის ბრძანებით, დაუნიშნეს თხუთმეტი მანეთი თვეში. მთელი წელიწადი დღე და ღამ მუშაობდა განსვენებული თავის მანქანაზე და 1903 წ. გაზაფხულზე წარუდგინა პროფესორ სადოვსკის აპარატი თავისივე ხელით გაკეთებული მოდელი ვრცელის განმარტებით, თუ როგორ შეიძლება ამუშავდეს ეს აპარატი. სადოვსკიმ განიხილა აპარატი, აღწერილობა და შიგ მოყვანილი მოსაზრებანი, მოიწონა იგი და ურჩია წასულიყო პეტერბურგში და სამეცნიერო აკადემიისთვის წარედგინა. იმ ზაფხულს გაემგზავრა განსვენებული პეტერბურგს. აკადემიამ თეორეტიულად ძალიან მოიწონა ნახუცრიშვილის გამოგონება და ურჩია პრივილეგიის აღება, მაგრამ აქაც უფულობა გადაეღობა. პრივილეგიისთვის საჭირო იყო 30 მანეთი. ამას გარდა მანქანის გასაკეთებლადაც 400—500 მ. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ არსად არაფერი გამოდნა. იმის თხოვნით მივმართე ისევ ბ-ნ სარაჯიშვილს, მაგრამ აქაც უარი მივიღეთ. პეტერბურგიდან განსვენებული დაბრუნდა აგვისტოში ძლიერ გამხდარი,—შეუძლოთ იყო, კუჭის ტკივილს უჩიოდა. უნივერსიტეტში იმ წელგვიან წავიდა. 1904 წ. გაზაფხულზე ეკზამენის დროს ავად გახდა, მაგრამ ეგზამენზე მაინც წავიდა, უმთავრესი საგნები ჩააბარა კიდეც და სამ საგანში შეუძლებლობისა გამო გადასდო ეკზამენი იმ წლის შემოდგომისათვის. როცა 1904 წ. დაბრუნდა სახლში, ძლიერ ცუდად იყო, ცოტას კიდეც ახველებდა. ვურჩიეთ ერთი წლით დაესვენა, მაგრამ არა ქნა. 1905 წ. თებერვალში დროებით გაიხსნა უნივერსიტეტი. განსვენებული სწერდა თავისიანებს: „ამ თვეში ჩავაბარებ უკანასკნელ ეგზამენებს და თებერვლის გასულს მანდ ვიქნებიო“, მაგრამ უკუღმა დატრიალდა მისი და მისი დედ-მამის ბედი: შვილმა თუმცა ჩააბარა თებერვლის გასულს ეგზამენები, მაგრამ ამ დროს საშინლად ავად გახდა და სახლში წამოსვლის ნაცვლად ამხანაგებმა კლინიკაში წაიყვანეს. განსვენებული 5 მარტს გარდაიცვალა...

ამხანაგებმა და პროფესორებმა შესაფერი პატივი სცეს განსვენებულის გვამს და მისს საფლავზე ძეგლიც აგეს, და თუ ამხანაგებსა და მეგობრებს გარდა დღეს კიდევ ახსოვს ვინმეს გრიგოლ ნახუცრიშვილი, ეს არის იურიევის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორი, რომელიც ერთ ლექციას არ გაუშვებს ისე, რომ განსვენებული არ ახსენოს და მის შესანიშნავ ნიჭზე და თავგანწირულ შრომაზე არ მიუთითოს მსმენელთ.

აი, ასე გულქვავად გავისტუმრეთ ყველასაგან უცნობი და მოძულებული განსვენებული ნახუცრიშვილი! ვინ იცის, რა შარავანდედით შემოსავდა მის დედინაცვალს, თავის სამშობლოს, რომ სიმშილს და სიცივეს არ მოეღო მისთვის ბოლო!

ჩვენი მიკიტნები, რომელნიც ხალხს სპირტით წამლავენ და ისე მდიდრდებიან, და ხანდისხან კიდეც მეცენატობენ, შველას და დახმარებას ღირსეულს და ნიჭიერს კი არ აძლევენ, არამედ იმათ, ვინც უფრო ფეხთა მტვრად დაეგება მათ და ვინც უფრო ხმა მაღლა იყვირებს მათ გულუხვობაზე და გაჭირვებულთა დახმარებაზე. და რა გასაკვირველია, რომ მათი გაზრდილნიც ცხოვრებაში ხშირად უვარგისნი გამოდგენ!

მიუწდომელ არს საქმენი შენნი, განგებავ, ერთს აძლევ ქონებას, მაგრამ თავს არა, მეორეს ამკობ ძვირფასის ტვინით და ჰკლავ სიცივ სიმშილით. ვინ მიხვდეს შენსა განზრახვას!

## პატარა ფელეტონი.

—

დადგა მარტი, გაზაფხულის თვე, გვეგონა თუ მოკრიალდებოდა ცა, გამობრწყინდებოდა მზე და თავის ცხუნვარე სხივებით სულ კინწის კვრით გააგდებდა ამ საზიზღარ ქარსა და ყინვა-სიცივეს; გვეგონა თუ მოფრინდებოდენ მერცხლები და თავის საამო ჭიკ-ჭიკით დაგვიტკბობდენ სმენას.

იმედი გაგვიცრუვდა: არც ცხუნვარე მზე და არც მერცხლები. ისევ სიცივე, ისევ გრიგალი ისევ ყინული გამეფებულა... ჰაერში ბოლის და წამლის სუნია დამდგარი. ისევ გრიალებს თოფი, ნავარდობს კაზაკი... ისმის ძველებურათ ბორკილთ ჩხრიალი, მათრახთ ტკაცანი და მუშტის ბრაგუნი. შინ გველიანდება კაზაკის შმაგი ჩრდილი, გარეთ ქუჩაში მეფობს, ბრძანებლობს პოლიციელი... მერცხლის ჭიკჭიკის ნაცვლად კი ისმის მთვრალი ხულიგანის ხრინწიანი სიმღერა...

— დასტკბი ადამიანო!..

დაბა სოფლებში თარეშობენ ბატონის ყმანი, ცეცხლით და მახვილით ამყარებენ „წესიერებას“; იპყრობენ ზარბაზნებით ქალებს და ბავშებს. ნიბლიასავით დაფრთხალი უიარაღო ხალხი გმინავს, კვნესის და თანაც გულში კვებავს შურის ძიებას...

მაშ რა შეგვძინა მარტმა ქართველებს? ბევრი არაფერი. ჩვენი მწერლობის ველზედ აღმოცენდა სამი გაზეთი: კვირეული „ივერია“, ყოველდღიური „განთიადი“ და „ახალი დროება“. განთიადმა პირველი დღიდანვე მიიღო აწ ჩამქვრალი „სხივის“ ელფერი და შეუბღვირა განახლებულ „ივერიას“. „ივერიამაც შეუკურთხა მამაპაპურათ. რა ვქნათ, მარტია მოუსვენარი, ნერვებიანი და რათ გიკვირს, მკითხველო, თუ მისი ნაშობიც ნერვებიანი და დაუდეგარი იყოს!

ნეტა რა დაემართა დარბაისელ „ცნობის ფურცელს“, ნეტა რათ აეშალა ნერვები ამ ლალის და ჯაბადარის ქებულ ორგანოს? რათ შეღუშა წარბები „ახალი დროების დანახვაზედ? ეგეც ხომ მარტში არ დაბადებულა! მაშ რათ შეუწუხდა გული? რათ დაჭირდა მკურნალი? ეს ჩვენთვის საიდუმლოა და სფინქსის ამოცანა...

ეს ვიდაა, ეს ხუმარა ბავში ყველას რომ ეღლაბუცება? ნუ თუ ვერ იცანით? წმინდა, უმანკო, ფაქიზი „პატარა გაზეთი“? ეჰ, იცელქოს ბავშმა, ოღონდ კი არ იტიროს...

წკიპურტი.

## ოზურგეთის ამბები

25 თებერვალს პოლკოვნიკ კრილოვის განკარგულებით დაევალა ქალაქის მცხოვრებთ, რომ უსათუოდ იქონიონ „ფლაგები“ ალიხანოვის მოსვლის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკათ დაისჯებიანო. მართლაც, მეორე დღეს, კვირას, ყველას შიშით (დაწვა ზედ მეტად აშინებს ხალხს) ფლაგები გამოეკიდა თავ-თავიანთ სახლებზე, მაგრამ ისევ აალებინეს, ვინაიდან ალიხანოვის მოსვლა სხვა დროისთვის გადაიდო.

ამ ჟამათ, როგორც გავიგეთ, ადგილობრივ საპყრობილეში ოცი პოლიტიკური დამნაშავეა, 27 კი ჯარების სადგომშია მოთავსებული (დაყოფის მიზეზი ვერ გავიგეთ). მათ შორის არიან: ბენია ჩხიკიშვილი, ილარიონ კალანდაძე, სიმონ ღლონტი, გიორგი ურტაძე, ალ. რუსიეიშვილი, ალ. იმედაიშვილი, სიხარულიძე, ლ. თოხაძე ჩხიკვაძე და სხ.

ამ დღეებში გაათავისუფლეს ლუკა არჯევანიძე, ურუშაძე, ივანე ღლონტი და პლატონ ბერიძე.

ეს ორი დღეა, რაც სამხედრო გამომძიებელი ჩვენებას ართმევს სხვა და სხვა პირებს დაპატიმრებულ ბენია ჩხიკვიშვილის შესახებ.

ფრიად საზარელი სანახავია ქალაქის გამგეობა: იატაკი აუარებელი ნივთებით და ქაღალდებით მოფენილი, სტოლები და შკაფები მინგრეულ-მონგრეული და დახეთქილი, აქა-იქ იატაკიც გამომწვარია, ქალაქის კასა თითქმის მთლად ნაფლეთებათაა ქცეული.

კვანტი.

**დ. ხარაგოული.** როგორც იცით, დ. ხარაგოული იმსხვერპლა ჯარის მიერ გაჩენილ ცეცხლმა. გადარჩა მხოლოდ ესრეთ წოდებული „ანუსია-რომანოზის 2 კლ. სამრევლოსასწავლებელი“, რომელშიაც სწავლა უკვე დაიწყო.

იმ სასწავლებლების შესახებ, რომელნიც ცეცხლმა გადაბუგა, მცხოვრებთ გამოუცხადეს, ახალი შენობები ააგეთ, თვარა სამუდამოთ დაიხურებაო. ხალხმა ვადა ითხოვა ენკენისთვემდე.

იქვე დაიწვა სასოფლო კანცელარია, რომელიც წარსულ ზაფხულში ხალხმა დასწვა, მაზრის უფროსმა ააგებინათ ახალი და ახლა კვლავ გადასწვეს. ამ შენობის ხელ-ახლავ აგება გამოეცხადა ხალხს. ამდენ ხარჯებთან და აწიოკება-განადგურებასთან საზოგადოებას შეაწერეს ყვირილის ხაზინიდან გატაცებული ფულის ნაწილი—8,844 მან. 27 კ. ეს ფული მცხოვრებლებმა უკვე წარადგინეს ხაზინაში.

აწიოკებულ-განადგურებული მცხოვრებლები საშინელ გაჭირვებაში არიან. ამ დღეებში ხალხმა ყრილობაზე დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას შემნახველ კასაში შეგროვილი საზოგადოების ფული, რომელიც უდრის 4,000 მანეთს. ეს ფული იმ ორმოც აბაზების ჯამია, რომელსაც ყოველი კომლი იხდიდა სათადარიგო თანხისთვის.—საზოგადოებას ამ 4,000 მანეთის მიღებაზე უარი გამოეცხადა.

პ. ირაკლიძე.

**დ. ხონი.** მძვინვარე რეაქციამ არც ხონი დასტოვა გულ-დაწყვეტილი, მასაც აწვია 80-მდე ყაზახი თავის აფიცრით. ამ ამბავმა თავზარი დასცა ხონელებს, მეტადრე ვაჭრებს. შეიქნა დაბაში შიშის კანკალი და ფუსფუსი. რის დამალვაც-კი შეიძლებოდა, მიმალეს სადღაც. ხალხი გაიხიზნა, სახლები დაცალიერდა, დუქნები დაიკეტა. გაიმართა კაზაკთა თავ-აღებული თარეში.. აფიცერმა მოახდინა კრება და გამოუცხადა ხალხს მოთხოვნილებანი, მოითხოვეს სხვათა შორის თოფები. შეშინებულმა ხალხმა აღუთქვა ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ჩაბარა კიდეც ათამდე თოფი.—ჯარის მოსვლისთანავე ასისინდენ ქვემძრომნი, დაიწყეს თამამად ბეზღება და თავის მოძმეთა გაყიდვა, მაგრამ ერთი მათგანი გადაყვა კიდეც თავის გესლიან ენას.

2 თებერვალს, დღისით, შუაბაზარში გააგორეს ტ. ქუთათელაძე, მკვლელი გადიკარგა სადღაც. ამ ამბავმა გააბრაზა აფიცერი, დაუწყეს ძებნა მკვლელს და ამ ძებნაში სრულიად უმიზეზოთ გადასწვეს გუზში ერთი დუქანი, ხალხს-კი შეაწერეს და გადაახდევინეს ქუთათელაძის ოჯახის სასარგებლოთ 2000 მან., აგრეთვე გადაახდევინეს ხალხს ფოსტიდან გატაცებული 4500 მანეთიც.

# რუსეთი

**ზღაპრული საპყრობილე.** რუსეთი „თავისუფლების“ გამოცხადების შემდეგ ერთ უზარმაზარ, თვალ-უწვდენელ საპყრობილედ იქცა. ამ საპყრობილეს არც სიგძე მოუჩანს, აღარც განი, არც დასაწყისი, არც დასასრული. „პოლიტიკური დამნაშავენი“ საპყრობილეებში როდილა მიჰყავთ, პირ და პირ ეზიდებიან და რაოდენობას კუბიკურ საჟენობით ანგარიშობენ; მაგალითად, საპყრობილის დავთრებში ჩაიწერება ამ გვარად: „მოზიდულია 14 კუბიკური საჟენი პოლიტიკურ დამნაშავეთა“. 2 თვის განმავლობაში დაუპატიმრებიათ 77,000 კაცი! ეს რიცხვი რამდენ კუბიკურ საჟენს შეადგენს, თქვენთვის მომინდვია, მკითხველო, გამოსაცნობად. ვარშავისა, რიგისა, ორიოლისა და პეტროკოვის ციხეებში დატუსაღებულია 14,000 კაცი. ტამბოვის ციხეში ზის 600 „პოლიტიკური“, როსტოვისაში — 500, ტულისაში—380, ვლადიმირისაში —400, მეტეხში... ამნისტიის შესახებ კი—„უმაღლეს წრეებში ტრიალებს აზრი“... ხოლო „უმდაბლესში“—ჯერ-ჯერობით ჟანდარმერია, კაზაკები, დევნა და ჭერა ყოველ ნაბიჯზე.

**მოსკოვის ამშენებელი.** ადმირალი დუბასოვი ნაალდგომევს ტოვებს თანამდებობას.

**„ბეზსაბედა“.** იაკიმანსკის ქალაქის საპყრობილეში დაპატიმრებულთა ერთ ჯგუფს პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოუცხადებია. ეს რომ გაუგია მოსკოვის გრადონაჩალნიკს, საპყრობილის ზედა-მხედველისთვის უბრძანებია: „სასტიკად გიკრძალავ მოშიმშილეთათვის რაიმე საზრდოს მიწოდებას. მათ მაგივრად კერძი მიუმატეთ დანარჩენ „კეთილგონიერ ნაწილს“ პატიმრებისასაო.

**გლეხები არა ცხრებიან.** როგორც „ნოვ. დნ.“ იუწყება სტავროპოლის გუბერნიის გლეხებში ძლიერი მღელვარებაა. გლეხები უარს აცხადებენ მემამულეთა მიწების დამუშავებაზე. მოსალოდნელია ძლიერი აგრარული მოძრაობა.

**გლეხები არჩევნების შესახებ.** „რუსკ. ვედ.“ ვკითხულობთ: გლეხებში არჩევნების დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი უფრო ირჩევენ იმ გლეხებს, რომელთაც სანადელო მიწები უჭერიათ; მესაკუთრე გლეხებს როგორღაც გაურბიან. ერთ მათგანს უთხრეს თურმე: „ჩვენ შენ აგირჩევდით, მარა „დუმაში“ შენ შენს ინტერესებს დაიცავ და არა ჩვენსასაო“. ძლიერ უკმაყოფილო არიან საარჩევნო წესებით. „პირდაპირ სათათბიროსთვის რომ ვირჩევდეთ, მაშინ სულ სხვა იქნებოდაო“—ამბობენ თურმე.

**შორეული აღმოსავლეთი.** ვლადივასტოკიდან მოსულები ამბობენ, რომ იაპონელები უკვე შეუდგენ სახალინის დასახლებას და რამდენიმე ალაგას მართავენ თევზის საჭერ პუნქტებს. რუსებს კი კუნძულის თავიანთ ნახევარზე სრულიად არაფერი გაუკეთებიათ, რადგანაც ჯერ იქ არ მისულა „გამომკვლევველი კომისია“.

იაპონიის საზღვაოსნო შკოლის მოწაფეებს რამდენიმე დარჩენილი ნაღმი ამოუღიათ ზღვიდან პორტ-არტურის მახლობლად იაპონელებს ამოუღიათ რუსის ჩაძირული გემები და ისე შეუკეთებიათ, რომ მაისის გასულისთვის სრულიად მზად იქნებიან. სამხრეთ მანჯურიაში იაპონელებს რკინის გზაზე მოძრაობა სავსებით აღუდგენიათ. ამჟამად იაპონელები გაფაციცებით მუშაობენ პორტ-არტურის სიმაგრეებზე. პორტ-არტური მალე გადაიქცევა მრისხანე ციხე-სიმაგრედ. ქალაქი დალნი მაისში სრულიად განახლებული იქნება.

**თოფხანას ეძებენ.** სამხედრო მინისტრი ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ საარტილერიო კომიტეტისაგან გაგზავნილ იქმნა მოხელე, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, თუ სად მზადდებოდა და ინახებოდა ის იარაღი, რომელიც მოსკოვის არეულობის დროს რევოლიუციონერთა განკარგულებაში იყოვო.

# უცხოეთი

**ლონდონი.** ინგლისის პარლამენტში ამ ორი თვის წინად მწვავე კამათი იყო დარიბ უცხოელთა ემიგრაციის, გადმოსახლების შესახებ. ეს კამათი გამოიწვია რუსეთიდან გადასახლებამ. ამ საგნის შესახებ პარლამენტში წარადგინეს ბილი, ე. ი. კანონ-პროექტი. კონსერვატიული პარტია ძლიერ ეურჩებოდა დარიბ უცხოელთა დასახლებას ინგლისში. კონსერვატორების წინააღმდეგ გამოვიდნენ ლიბერალები; ესენი უმტკიცებდენ პარლამენტს, რომ ინგლისმა მეტად ისარგებლა დარიბ უცხოელთა შეფარებითო, მაგალითად მოიყვანეს ჰუგენოტები და ბელგიელი ფეიქრები, რომელთაც შემოიტანეს და აღორძინეს ინგლისში სხვა და სხვა მრეწველობა. ჩვენ ნუ დაუხშობთ კარებს ნურავის! მოვიდნენ ყველანი! ამ საქციელით ინგლისი მუდამ იქებდა თავისა! ამას გაიძახოდა ოპოზიცია, მაგრამ დამარცხდა. ბილი იქცა კანონად და მოქმედებს კიდეც. როგორ შეხვდა საზოგადოებამ ამ კანონს? ფრიად ცუდის თვალით. პრესსა და საზოგადოების აზრი წინ აღუდგა ამ კანონს და ცდილობს მის გაქარწყლებას. თუმც მინისტრ-პრემიერი ბალფური ამტკიცებდა, რომ ეს კანონი არ ეხება პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივ ემიგრანტებსო, მაგრამ ამით ვერ დაამშვიდა ხალხი და საზოგადოება. ემიგრანტებს ესაჭიროება კონტროლი, ამისთვის კი უნდა გააფართოვონ ადმინისტრაციის უფლება. ინგლისელისთვის პოლიციის უფლების გაფართოება ნიშნავს თავის საკუთარ უფლებების შეკვეცას, ნიშნავს პოლიტიკურად დაქვეთებას. ინგლისელს სძაგს და ეზიზღება პოლიციელის თვითნებობა. ის კაი ხანია გადაეჩვია ამ ველურობას, მას ვერც კი წარმოუდგენია თუ როგორ შეიძლება რომელიმე ხალხმა ან ადამიანმა იცხოვროს იმ ქვეყანაში, სადაც ბატონობს პოლიცია და ადმინისტრაცია. აი ამიტომ აღშფოთდა ინგლისის პრესა, ამიტომ აღელდა ინგლისის ხალხი და საზოგადოება! ასე გაშინჯეთ, ამ კანონის წინააღმდეგ ამხედრდენ ბევრი კონსერვატორები. ასე ძვირფასია ინგლისელთათვის ტრადიცია და თავისუფლება!

როცა იხილავდენ პარლამენტში კანონ-პროექტს გადმოსახლების წინააღმდეგ, სხვათა შორის იმასაც ამბობდენ, რომ ამით ჩვენი მუშების ინტერესებს ვიცავთო, ეხლა თვით მუშები ამხედრდენ ამ კანონის წინააღმდეგ და ცდილობენ მის გაუქმებას.

სრული რწმენა უნდა გვქონიოთ, რომ ინგლისის საზოგადოების აზრი ახლავე აჯობებს სამინისტროს და გააუქმებს შემარცხვენელ კანონს. თავისუფალ ინგლისში ის არ ხდება, რაც უბედურ რუსეთში.

# დეპეშები

**შავლი.** 5 მარტი. მიწის მფლობელთა კრებაზე 1043 მაგივრად გამოცხადდა 76. კრება დილიდანვე ალყა შემორტყმული იყო. შესავალ კარებში იდგენ ზედამხედველი, საეროზო დარაჯი და დრაგუნები. ამორჩეულ იქმნა 21 რწმუნებული, მათ შორის 13 ქსენძი (ხუცესი).

**ბრიანსკი**, 5 მარტი. ამომრჩეველთა არჩევნებზე არჩეულ იქმნენ სოფლის მამასახლისი, ყოფილი ბოქაულის მწერალი, და სამი გლეხი.

**პეტერბურგი**, 5 მარტი. მუშათა რწმუნებულებად არჩეულ იქმნა 7 კაცი. მუშებმა ამ არჩევნების ხელმოწერით დამტკიცებაზე უარი განაცხადეს. მოსკოვის საბაჟოს იქით მყოფი მუშები სრულიად არ ღებულობენ არჩევნებში მონაწილეობას.

**ვლადივოსტოკი**, 5 მარტი. წყალ-ქვეშ მავალ ნავების საქარხნო განყოფილებას ცეცხლი წაეკიდა.

**ვლადივოსტოკი**, 5 მარტი. აქ მოსული კაზაკები და პლასტუნები სამშობლოში გაგზავნეს მანჯურიიდან მომავალ ქვეით ჯარებს ოკეანის გემებით ისტუმრებენ.

**პეტერბურგი**, 5 მარტი, ოფიციალური. მინისტრთა საბჭოს კრება 5 მარტს მოუნდა გლეხთა საკითხის განხილვას. გადაწყვეტა საგლეხო საქმისა მთავრობის მოვალეობაა, მაგრამ ამავე საქმეზეა გადაბმული რიგი სხვა რეფორმებისაც, სახელდობრ, გადაკეთება ადგილობრივ სასამართლოსი, უფრო მოხერხებულათ დაყენება ერობის საქმისა და გაერთიანება სამოსამართლო ნაწილისა იმპერიაში. ამისათვის საბჭომ სცნო აუცილებლად საერთო შეთანხმებისთვის უწყებათა წარმომადგენელთაგან შეადგინოს განსაკუთრებული კომისია მიწათ მოქმედების მთავარ-მართველის თავმჯდომარეობით და შემდეგ ხელ-ახლა განიხილონ მთელი საქმე მინისტრების საბჭოში.

**ოჩაკოვი**, 6 მარტი. დღეს დილით ლეიტენანტი შმიდტი და სამი მატროსი დახვრიტეს.

**ოდესა**, 6 მარტი. ჟანდარმთა გამგეობის სადგომის ქვეშ დილის 11 საათზე აფეთქდა ჯოჯოხეთის მანქანა. ჩამოინგრა მერჩი (ჭერი). ძლიერ დაზიანდა ჟანდარმთა პოლკოვნიკის კაბინეთი. გზაში დაიჭრა 10 გამვლელი. არავინ მომკვდარა.

**პეტერბურგი**, 6 მარტი. რუსეთის მოახალშენეთა ტარიფი რომელიც გაუქმებულ იქმნა რუსეთი-იაპონიის ომის დროს, განახლდება 15 მარტისთვის. ამავე დღიდან დაიწყება მოახალ-შენეთა გადასახლებაც.

**პლოცკი**, 6 მარტი. შესდგა ებრაელთა ეროვნული პარტია. ქრისტიანთა პარტიები კი არჩევნებს გულგრილად ეკიდებიან.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. თ. ბაქაძე

## განცხადებანი

5 მარტიდან გამოდის ახალი ყოველდღიური, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„განთიადი“**

ამ წლის დამლევამდის გაზეთი ღირს თფილისში დატარებით და სხვა ქალაქში გაგზავნით 5 მ., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი—3 კაპ.

გაზეთი „განთიადი“ გაეგზავნება „სხივის“ ხელის მომწერთაც.

რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟესკაია ქუჩაზე № 17.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Гантіади“.

რედაქტორ-გამომცემელი თ. კიკვაძე.

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი: **„დამფუძნებელი კრება და საარჩევნო უფლება“**

ს. გორგასლიძისა.

„სხივის“ ამხანაგობის გამოცემა. ფასი 10 კაპ. ვინც ათს ცალზე მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა შვიდ-შვიდ კაპიკად.

ც წიგნის საწყობი: „ჯეჯილის“— რედაქცია. არტილერიის ქუჩა, 5.

სტამბა ა. ვ. ქუთათელაძისა ფრეილინის ქუჩა, № 12.